# საინფორმაციო ღონისძიება „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის (IPS) შესახებ

16 მაისი 15:00

**ღონისძიების ადგილი:** ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი,
მელიქიშვილის აუდიტორია (No.115), ჭავჭავაძის გამზ. 1

**ღონისძიების საკონტაქტო ინფორმაცია:**
www.bundestag.de/ips www.tifl.diplo.de

გერმანიის საელჩო გიწვევთ საინფორმაციო ღონისძიებაზე გერმანიის პარლამენტის (ბუნდესტაგის) სტიპენდიის პროგრამის შესახებ „საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდია (IPS)“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
გერმანიის ბუნდესტაგი ბერლინის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად აძლევს მაღალი კვალიფიკაციის მქონე და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულ 100 ახალგაზრდას 21 სხვადასხვა ქვეყნიდან იშვიათ შესაძლებლობას, უშუალოდ გაეცნოს გერმანიაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს. სტიპენდიატებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, იმუშაონ ბუნდესტაგის დეპუტატთა ბიუროებში და მონაწილეობა მიიღონ უამარავ ღონისძიებასა და შემეცნებით ექსკურსიაში.
გერმანიის ბუნდესტაგი “საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამას 1986 წლიდან ახორციელებს. პროგრამის მიზანია, აამაღლოს ახალგაზრდობის ინტერესი დემოკრატიისა და საზოგადოებისადმი, შესძინოს მას მეტი გამბედაობა და გაუღვიძოს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პროცესებში. IPS არის გრძელვადიანი ინვესტიცია დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების და ევროპაში კულტურული მრავალფეროვნებისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშეწყობის საქმეში.
პროგრამის ფარგლებში მგზავრობის, ბინის, კვების, დაზღვევისა და ყოველთვიური სტიპენდიის ხარჯებს გერმანიის ბუნდესტაგი გაიღებს.
„საერთაშორისო საპარლამენტო სტიპენდიის“ პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე:

www.bundestag.de/ips

2013 წლის სტიპენდიის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად გერმანიის საელჩოში განაცხადების შეტანის ვადა 2012 წლის 30 ივნისს იწურება.

პრესის წარმომადგენლებს ვთხოვთ გვეწვიონ!

Botschaft
der Bundesrepublik Deutschland
Tiflis
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი